www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

წყალმომმარაგებელი საწარმოების გამოკვლევა

2022 წელი

27.06.2023
www.geostat.ge

27.06.2023

წყალმომმარაგებელი საწარმოების გამოკვლევა

(2022 წელი)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2022 წელს საქართველოში წყალმომარაგებით საქმიანობას ახორციელებდა 27 საწარმო, რომელთა მიერ შინამეურნეობებისთვის მიწოდებული წყლის მოცულობამ 208.0 მილიონი კუბური მეტრი შეადგინა, რაც 1.0%-ით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე (210.1 კუბური მეტრი). 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებული იყო 2.67 მილიონი ადამიანი (მთლიანი მოსახლეობის 71.5%), რაც 1.6 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (2.63 მილიონი ადამიანი).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებული მოსახლეობის წილი 2015-2022 წლებში (დიაგრამა №1).

დიაგრამა №1

წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებული მოსახლეობა

(%)



27.06.2023

2022 წელს წყალარინების (კანალიზაციის) ქსელზე მიერთებული მოსახლეობის რიცხოვნობამ 1.96 მილიონი შეადგინა (მთლიანი მოსახლეობის 52.4%), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (1.90 მილიონი) აღემატება 3.1%-ით.

2022 წელს ჩამდინარე წყლის გამწმენდ ნაგებობაზე მიერთებული მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა 1.49 მილიონი (მთლიანი მოსახლეობის 39.8%), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (1.36 მილიონი) აღემატება 9.6%-ით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია წყალარინების ქსელზე მიერთებული მოსახლეობის წილი (დიაგრამა №2) და ჩამდინარე წყლის გამწმენდ ნაგებობაზე მიერთებული მოსახლეობის წილი (დიაგრამა №3) 2015-2022 წლებში.

დიაგრამა №2

წყალარინების ქსელზე მიერთებული მოსახლეობა

(%)



დიაგრამა №3

ჩამდინარე წყლის გამწმენდ ნაგებობაზე მიერთებული მოსახლეობა

(%)



საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (500), E-mail: gsanadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge